

# ლიტერატურული განები

№15 (367) 2 - 29 აგვისტო 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თერი



## თათია მთვარელიძე

ნიგნი მყოფთა ანუ არმყოფთა

მიძღვნა ქათისთვის

\*

ვახელ და ვხუჭავ.  
ვხუჭავ.  
ვახელ.  
ვხუჭავ და ვახელ.  
იქნება ასწავლოს თვალებს ცრემლმა  
შენი დანახვა.  
— საით ნავიდა? — ვეკითხები მდუმარე ძახველს.  
— საით ნავიდა? —  
მეკითხება და თვალებს ახელს.  
არც ჩემს ცრემლში ხარ.  
არც მის ცრემლში არ ხარ.  
არა ხარ.

ვალებ და ვხურავ.  
ვხურავ.  
ვალებ.  
ვხურავ და ვალებ.  
იქნება ასწავლოს ამ გულს დარდმა შენი დანახვა.  
— საით ნავიდა? — ვეკითხები ნოემბრის ბალებს.  
არც აქ არა ხარ.

ვსუნთქავ.  
არ ვსუნთქავ.  
ვითვლი წამებს.  
თან ვძლებ, თან არ ვძლებ.  
იქნება ასწავლოს ჩემს სულს სუნთქვამ  
შენი დანახვა.  
— საით ნავიდა? —  
ვეკითხები ჩამომჭვნარ ანწლებს.  
სუნთქვას იკრავენ.  
არც აქ არ ხარ.  
არ ხარ.  
არა ხარ.

ჩვენი წლებია ეს სიტყვები, რომლებსაც აგერ  
ვეღარც ვპოულობ,  
ვეღარც ვანგრევ, ვეღარც ვშენებ.  
რომელ შენობას მივაჩხაპნო ან რომელ ნანგრევს  
ამოვაკანო ყოფნა უშენოდ?

ყველგან ნავიდეთ! — თქვი;  
— ნავიდეთ! — ვთქვი და ნახვედი,  
მაგრამ არ ვიცი, საით არის ყველგან — სადა ხარ.  
არ ჩანს მანდედან,  
როგორ დაჭკნა შენი ძახველი?  
ან მესაფლავემ ჩემი გული როგორ დამარხა?

ვახელ და ვხუჭავ.  
ვხუჭავ.  
ვახელ.  
ვხუჭავ და ვახელ.  
იქნება ისწავლონ ამ თვალებმა შენი დანახვა  
იქ, სადაც არ ხარ.  
სადაც არა ხარ.

\*

ლამე. სიბნელე.  
დეკემბრის ზეცამ  
ნაწყენი თველი წამოვაფარა.  
მახსოვს, მაშინაც ეს ფერი გეცვა:  
მე — შენს საფლავზე?!

არის ფიქრები, არის ფრაზები,  
არის სიტყვები სულის ღაფვამდე —  
რომ ვერც იტყვი და ვერც გაბრაზდები:  
მე — შენს საფლავზე?!

არიან ქვები, მთები, ქედები  
შეფენილები მალლა-დაბლაზე,  
რომ ვერც ხედავ და ვერც იხედები:  
მე — შენს საფლავზე?!

ის ფოტოკადრი — შენ, მე, ზღვა და მზე,  
შენ ზეთისხილის გვირგვინს მაფარებ,

სასაცილო ვარ, სასაცილო ვარ,  
სასაცილო ვარ მე — შენს საფლავზე.

\*  
ამ სარკეს შენი ნათითური დღესაც ატყვია.

ნათითური მყავს ახლა შენ ნაცვლად,

შენ აღარ მყავხარ.

ერთი წელია,

სიცოცხლის და ამ სარკის ტყვე ვარ —

მათი სარკმლიდან შენ მიყურებ,

მაგრამ მე მგავხარ.

ამ სარკემ ალბათ ჩემზე უკეთ დაგიმახსოვრა —

მე შენი სახე ნამიშალა დარდმა ხსოვნიდან

და ყოველ დილით ამ სარკის წინ

ვდგები მათხოვრად —

ვიხედები და სარკეს შევთხოვ, მასში მოხვიდე.

ნეტავიროდის ჩაიხედე ბოლოს სარკეში?

ალბათ სიკედლოთან თამაშის წინ თმა შეისწორე,

ნამწამებიდან დამცინავი მზერა დაგეშე

სიცოცხლისკენ და თქვი —

ის მაინც ხომ მომიწონებს.

ალბათ განზრახაც დაუტოვე ეს ნათითური

სარკეს, რომლითაც მტკიცე ყოფნა გააბითურე,

რომელშიც ყვავის ერთადერთი სიმართლე —

თურმე

უფრო დიდხანს ძლებს ნათითური,

ვიდრე თითები.

აქ, ამ სარკეში,

ყოველ დილით ვუყურებ ჩემს თავს,

ჯერ თმას ვისწორებ,

მერე მზერას ვგეშავ დამცინავს

და არ გამომდის ამ სარკიდან გამოსვლა შენთან,

რომ სულზე სული მოგადო და მაგრად გაცინო

ამ წელიწადზე, ამ სარკეზე, ამ ნათითურზე,

იმ სიგიუზზე, იმ ტკივილზე,

ჩვენ რომ არ გვყოფდა.

გაცინო — როგორ ოსტატურად შემოვიდურე

ყველა, ვინაც კი აპყოლოდა ვნებას აქ მყოფთა.

მაგრამ არ მყოფნის სიმამაცე,

მაგრამ არ მყოფნის,

რომ ამ სარკიდან შევეკედლო სარკეს არმყოფთა.

ამ სარკეს ალბათ

შენი ბოლო სიტყვებიც ახსოვს,

მე კი არ მახსოვს,

რა მითხარი, ბოლოს რომ გნახე.

და ყოველ დილით ვიხედები სარკეში და ვთხოვ:

სარკეს, მითხარი,

რას ატანდა შენთან ჩემს სახელს?

მაგრამ ღუმს სარკე,

მის ეკრანზე ღუმს ნათითურიც

და ამ ღუმილით,

ამ ღუმილით მასში ნამყოფთა —

ჯერ თმას ვისწორებს, მერე —

მზერას და მაბითურებს

ჩემი ცხოვრება — ნიგნი მყოფთა ანუ არმყოფთა.

## ილია გველესიანი

ლამები ჩატარგული დღეები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

კუძლვნი დაკარგულ ბავშვობის მეგობარ  
შოთა გოვინდულობის

ფანჯრიდან ცა ჩანდა. ცაზე მრგვალი ყვითელი  
მთვარე ანათებდა. ქვემოთ მთის ვეებერთელა სილ-  
უტი აღმართულიყო. მთის სილუტზე ვერცხლი-  
სფერი ჯაჭვით განელილიყო მანქანების რიგიდა  
თვალმიუწვდომელი უსასრულობისკენ მიედინე-  
ბოდა. დროდადრო განყდებოდა რიგი, გაქრებოდა  
სინათლე და მზერა ბენელ სივრცეში ამაღლ დაეძე-  
და სიცოცხლის ნიშანწყალს.

პალატაში ნახევრად ბენლოდა.

სანოლზე წამოჯდა, მხრებიდან ჩამოცურებუ-  
ლი ბუშლატი გაისწორა, რევოლვერი ბალიშის ქვეშ  
ამოდო, სანოლის ფეხსან მიდგმული არყის ბოთ-  
ლი აიღო, თავსახური ფრთხილად მოხსნა და ერთი  
გარეტებული ყლუპით დალია. სახე მოერიცა. მუშტები ცხვირთან მიიტანა და ღრმად ჩაისუნთქა.

გვერდით სანოლზე ბავშვს ეძინა.

გახედა...

გულაძმა იწვა ბავშვი. თავი ირიბად ედო ბალიშ-  
ზე, პირი ღდნავ გაელო და მშვიდად და თანაბრად  
სუნთქავდა.

თავითრიალებულმა ერთხანს ჩუმად უყურა, მერე მარჯვენა ხელის სამი თითო შეატყუპა, ჰარე-  
ში აღმართა და პირჯვარი გადასახა.

კუთხეში ნავთქურა ენთო, რომელიც ლურჯად  
ასავსავებდა ენას და პალატაში შემოჭრილ შემო-  
დგომის სუსს შიშინით ლოკავდა.

ადგა. ბავშვს ფრთხილად გაუსწორა თავი. სა-  
ბანი ნიკაპამდე ამოუნია. მერე ნავთქურასთან მი-  
იტანა სკამი, დაჯდა და წინ გადახრილმა სახე ხე-  
ლისგულებში ჩამალა.

ბავშვს ყოველ თორმეტ საათში უკეთებდნენ ნე-  
მსს. გუშინ საღამოს ხუთ საათზე გაუკეთეს, დღეს  
დილის ხუთზე გაუკეთებენ.

მოურიდებულ შემოლაგდებიან პალატაში ნამ-  
ძინარევი ექტონები. თუ დენია, შუქს აანთებენ, თუ  
არ არის — აანთებულ სანოლებს შემოტანენ, ჩამუ-  
ქებულ ჩრდილებს შემოიყოლებენ და ბავშვს გა-  
აღვიძებენ. ერთი ხელ-ფეხს დაუჭერს, მეორე პი-  
ჟამას აუნევს, მუცელს მოუტიტვლებს, სპირტით  
დასეველებულ ბამბას მოუსამს და ნემსს გაუკე-  
თებს. ბავშვი წამოიტორებს და თვალებით დაუწყებს  
მამას ძებნას. მამა არ უყურებს ბავშვს, არც ექტონ-  
ების მონდომებულ ფაციფუც აქცევს ყურადღე



## თათია მთვარელიძე ნიგნი მყოფთა ანუ არმყოფთა

### შრაგებაზი

\*

მახსოვს, რომ აქ ვარ,  
აქ ვგულისხმობ მინას და იქ — ცას,  
მაგრამ არ მახსოვს, საიდან და როგორ მოვედი.  
არ მახსოვს,

ყოფნა არყოფნიდან მზედ როგორ იქცა  
ან როდის გავხდით ამ მოძრავი ხორცის მონები.

ეს კაციც მიდის.  
ტელეფონის შემქეთებელთან შევხდით,  
ერთმანეთს მივესალმეთ უხმო ენაზე.  
როგორ ეტყობა ამ კაცს წასვლა,  
როგორ ეტყობა —  
დასრულებულ მზერაზე  
და დაუსრულებელ გაღიმებაზე.

ნეტავ სიტყვების გატანება შეიძლებოდეს,  
ხომ გავატანდი ამ გაცრეცილ სიტყვა-დეპეშებს:  
„მიყვარხა“.  
„მენატრები“.  
„მე ვერ მოვდივარ, იქნებ ისევ შენ ჩამოხვიდე“.  
„ახლაც ძნელია უშენობა“.  
ერთ მათგანს მაინც გადასცემდა და ამ მოლოდინს,  
რაღაც იმედი აუკეთდა სიცარიელეს.

ან ერთი კადრის გატანება შეიძლებოდეს —  
წაიღებდა, ჩაურთავდა ცის ეკრანზე  
ჩემი ტკივილის იმ ერთ, მაგრამ უსასრულო კადრს  
და თუ რამე მართლა არსებობს,  
ვიცი, ამ კადრს ვერ გაუძლებდა  
და როგორლაც დაბრუნდებოდა.

ეს კაციც მიდის,  
ტელეფონის შემქეთებელთან რომ შევხდი გუშინ.  
უხმო ენაზე მივესალმეთ ერთმანეთს,  
ვთხოვ:

„შეგიძლიათ, ჩემს მეგობარს  
რამდენიმე სიტყვა წაულოთ?  
ეს ისეთი სიტყვებია — არ დაგამძიმებთ  
და კიდევ ერთ კადრს,  
მხოლოდ ერთ კადრს გაგატანთ — ჩემი ტკივილია.  
მოგეხსენებათ, სხვისი ტკივილიც არ არის მძიმე“.

ვერ მიპასუხა, არ ახსოვდა არცერთი ენა  
იმ კაცს, რომელიც ხელოსანთან გუშინ მოვიდა  
და ერთი სიტყვა დამასწავლა უხმო ენაზე —  
ღიმილი ანუ დაბრუნება სხვისი მიმდინა.  
„ნეტავ ღიმილის დატოვება შეიძლებოდეს“ —  
ჩემი მოძრა სხვების მიში წასვლა მომინდა...

\*  
ბიძაჩემს — ლაშას

ახლა რას მეტყვი, ბიძაჩემო,  
ახლა, როდესაც  
ჩემი მდუმრე ფიქრის იქით შენ ხარ, აქეთ — მე.  
ლირდა რაც იყო, რაც არ იყო, რაც არ მოგვეცა,  
რაც მოგვეცა და რაც ვაკეთეთ ან არ ვაკეთეთ?  
ახლა რას მეტყვი, ბიძაჩემო, ვისთან ვიკითხო  
ცხოვრება ჩემი წყვილია თუ წყლის ანარეკლი.

ჩემი დუმილი ახლა როგორ ჩამოგიყითხო,  
ცას ვესაუბრო, ყვავილებს თუ საფლავის ეკლებს?  
ახლა რას მეტყვი, ბიძაჩემო, როს ყველა სიტყვა  
კითხვის ნიშნებად ეწებება უგზო მანძილებს?

ახლა რას მეტყვი —  
ყოფნის სახრეს ვინ წნავს, ვინ ვეირტყამს?  
ვინ გვეხუმრება — ვინ გვაძინებს ან ვინ ვეალვიძებს?  
ახლა სადა ხარ, ბიძაჩემო, იქნებ აგვიძა  
ასვოდელების საზრაო და გამართოლდა ეჭვი?  
იქნებ იხილე უხილველი — ღმერთი გამიხდი,  
იქნებ სამყაროც მიიხატე წარუვალ ბეჭზე?  
ახლა რას მეტყვი, ბიძაჩემო — ცას აგხედო თუ  
მინას დავხედო, როცა შენთვის იმის თქმა მინდა,  
რომ ეს ღლები უჩვეულოდ წვიმდა ათენში —  
ჩემი ამბავი დაიტირა ცუდმა ამინდმა.

\*  
მითხრა — მემსგავსე: მთაზე აღვედი.  
მთაზე აღვედი — სალი კლდე დამზვდა.  
მარჯვენით მედგა შენი სახება,  
მარცხენით — შენი სურნელი მახლდა.  
ქვემოთ ეძინათ დარდის მთა-გორებს,  
ზემოთ წატანჯი ღრუბელი ვლიდა,  
შენ იყავ ჩემი მძიმე თაბორი,  
რომელსაც ჩუმი ვედრება გლლიდა.  
მითხრა — მემსგავსე. მთაზე აღვედი.

ღმერთისგან უკვდავ ნიშანს ველოდი,  
სიტყვას — რომ ჩემგან კი არ წახვედი,  
გზა გამიკვალე სულის მდელოდე.  
მითხრა — მემსგავსე. დავიმოწაფე  
გაუკალავი ტკივილი, რადგან  
სიყვარულში რომ ჩავდექ მოწამედ,  
ჩემთან არცერთო მოწაფე დადგა.

მითხრა — მემსგავსე. მთაზე აღვედი.  
ტანჯვის ქიმს შევდექ სასომიხდილი  
და თვალებს მხოლოდ მისთვის ვახელდი,  
რომ არ გებილა ჩემი სიკედილი.  
მითხრა — მემსგავსე. და აპა, ვდგავარ  
ციცაბი კლდეზე, რომელსაც შენი  
ბასრი უარით სასტიკად გავხარ  
და უსასორ ტკივილად შევნი.

და აპა, ვდგავარ, მარჯვენით მიდგას  
შენი სახება, მარცხნივ — შენი ხმა.  
თავს ნათლის წაცლად, სინელეს ვიდგამ,  
ყველა ყვავილი ტანში შემიხმა:

გული, რომელმაც დაიდო შიში —  
უკარნებელი დაკარგვის ფერი,  
კანმა, რომელშიც სინათლედ ვიშვი,  
ძაძად ჩაიცვა ტკივილი ბეჭლი.  
და, აპა, ვდგავარ, მარჯვენით შენი  
სახება მიდგას, შენი ხმა — მარცხნივ.  
თავზე სიბერების გვირგვინი მშვენის,  
მკერდზე მიბრნებას მედალი მარცხის.  
და, აპა, ვდგავარ, როგორც წესია,  
ველი — მალლიდან მესმას შენი ხმა:  
„ეს არს ჩემი ტრფობის მესია,  
ისმინეთ მისი“ ანუ „ჩემი ხარ“.

და სანამ ისევ დადგება ჯვარცმა  
(თუ გადაგურჩი სულის წვალებას) —  
იხილეთ ღმერთმაც, ქალმაც და კაცმაც  
ეს ჩემი ბერლი ფერისცვალება.

\*

— ნება მომეცი, შენს საფლავში ჩავწვე —  
მეხვენა მეგობარი.  
— მე შენ გამო არცერთ საფლავში არ ჩავწვებოდი —  
არ დავანებუ.

და ახლა ვწევარ ჩემს საფლავში,  
ჩემს მეგობარს არ აქვს საფლავი.

ვწევარ — ეს ჩემი საფლავია,  
იმ მეგობარმა გამითხარა,  
ჩემ მაგივრად სიკედილს რომ მთხოვდა.

ვწევარ — მე ვწევარ ჩემს საფლავში —  
მარადიულ ძღვენში, რომელიც  
სიყვარულმა თუ მეგობრობაში მისახსოვრა,  
ჩემს მეგობარს კი საფლავი არ აქვს.

დამღამობით,  
საფლავიდან გამოხედვას როცა ვახერხებ,  
ვხედავ, თუ როგორ უსასოდ დაბორის დაბორიალობს,  
საფლავ ეძებს, რომელიც არ აქვს.  
მოდის ხოლმე ჩემს საფლავზე და  
საფლავი ეძებს: „ჩამომიშვი, მოგინვები, როგორც მაშინ,  
იმ უწყვდიად ღმერთი, ერთმანეთის სხეულების სითბოს რომ ვცვლიდით!  
ჩამოგინვები,  
მანდ უსხეულო სიცივეებს გაცვლიან ძვლები;  
ძვლები, რომლებსაც ეგონათ, რომ  
უსაფლავოდ უფრო გაძლებდნენ,  
ვიდრე უშენოდ“.

— ნება მომეცი, შენს საფლავში ჩავწვე —  
მთხოვდა მეგობარი,  
რომელმაც მერე თავისი ხელით  
გამითხარა საფლავი და  
თავისი ხელით ჩამანინა,  
მინაც თვითონვე მომაყარა,  
კარგად დატკეპნა,  
უფრო მყარად რომ შეძლებოდა სიარული დედამიწაზე.

ჩემს მეგობარს საფლავი არ აქვს.  
მას საფლავიც არ გაუთხარეს.  
ამიტომაც დამღამობით  
ჩემს საფლავზე მოდის ხოლმე — სიყვარულს მთხოვს,  
ახლა ჩემი საფლავი უნდა.  
— ო, ჩემო ტკიბილო მეგობარო, —  
მინდა, ერთხელაც ამოვძახო, —  
— ო, ჩემო ტკიბილო მეგობარო,  
ეს საფლავი ორს ვერ დაგვიტევს,  
ჩემი რონი ერთად ვერც სიყვარულმა დაგვიტია  
და ვერც სიკედილმა,  
რადგან მოკლული სიყვარულის საფლავში  
მხოლოდ ერთი წვება.

ნუ შეგშურდება —  
ეს ყვავილები ანუ ჩემი ყოფილი გული,  
შენ რომ სურვილის თვალით უმზერ, ეკლიანია,  
ფესვებად უდგას მას ეკლები  
იქ, სადაც უშინ გული იდგა და შენთვის ძერდა.  
ნუ შეგშურდება,  
სიყვარულის საფლავში წოლა ლამაზია,  
მაგრამ სასტიკი.

— ნება მომეცი, ჩემს საფლავში ჩემით ჩავწვე! —  
ვთხოვდი მეგობარს,  
მაგრამ ამის ნება არ მომცა.  
ახლა კი მისი ხელით გათხრილ საფლავში ვწევარ,  
მასზე ვფიქრობ და  
სიკედილზე ანუ სიყვარულზე ვაგრძელებ წერას...





\* \* \*

## შეკვება!

სახლი უნდა ავაშენო რძისფერი კირქვის,  
მზე რომ ჩამომადნეს ხელისგულზე,  
შეიღებისთვის

კეკრუცის შესანვავად გაშვერილ ხელისგულზე...  
დედაჩემასაც ასე დაეთუთქა პირველად ხელები,  
ჩვენთვის რომ თოხლოკვერცხს ამზადებდა  
მზისსხვაც ყოლილს...

ზურგით უნდა მოვათრიო მძიმე ლოდები,  
საძირკველში მკვიდრად ჩავდო  
რკინის სალტით გადაფასკვნილი  
სიყვარული, ერთგულება, მოთმინება და სიძლიერე,  
სხვაც ბევრი მადლი...  
უნდა ვივარგო კიდევ ერთხელ,  
ალბათ ბოლოჯერ,  
თორქმ ჩალპება უჯრა-უჯრა  
ჩაპუჭული ჩითის ჭრელები;  
ბებიათქენის სახსოვარი  
ხატულია ქვილითის საბანიც,  
ჭრელა-ჭრულა ნაჭრებისგან შეკერილი.  
ვეღარ ითმენებ

სიძველისგან გადამსკდარი ხის ბათმანები,  
თეთრ ტილოებს ამოვუფენ მაქმანებიანს,  
დაკვრისინებულ, სურნელოვან  
თონის პურებით აგისებთ ხმირად,  
ხან ყვავილებით, —  
საკანაფურას მინდვრებიდან საგულდაგულოდ  
დაკრეფილებით...

\*  
ათასფერი ჩით-მაქმანებით მეც დაგიკერავთ  
უჩვეულო ქვილთის ჭრელ ფარდებს,  
მზე შემოიჭვრიტება ყაისნალით  
წლობით ნაქსოვ ბევრუთვალაც ჭუჭრუტანაში  
გახამებული, თეთრი მიტელით  
შეგიერავთ ქვეშაგებებს,  
გაუთლელი ქვისგან ნაგები  
საძინებლის მკაცრი კედლები რომ გაგინათოთ  
დამაქმანებულ ტილოს სინაზით;  
უნდა მოვზიდო ზურგით კირქვა  
მამაჩემის ძველი სახლისაც,  
როგორც თილისმა

\*  
ხმელი დიყის შავადმკაცრი სილუეტიც  
მოუხდება რძისფერი კირქვის სიუხეშეს, —  
ანდერძად დაგიტოვებთ, რომ  
ნედლი დიყა (ლათინურად — *Heracleum*)  
შხამინა, ხმელი არა,  
როგორც ყვითელი ბაიები ადრიანი  
გაზაფხულის (ლათინურად — *Ranunculus*) —  
ჩვენი ეზოს პირმცინარი სარეველები

და

შემოდგომის უდაბესი, ისისფერი  
უდროულა — სათოვლიებიც  
(ლათინურად — *colchicum*)  
(კალხეთიდანააორო)...

\*

ეზო უნდა დაგიბაღნაროთ, დაგივარდყვავილოთ...  
ჩუმი ლოცვასაბით გაჩენილი  
ცისფერთვალა კესანებით მოგიქარეოთ...  
ჩაიკისებები გესანები სიხარულიანი  
ცის თვალებით...  
როგორ მოუხდებიან ქვის საყვავილეს,  
ამ უძველესს, წინაპრების ხელებით ნაჩორკნს,  
ძლიერ რომ ასწიეს ლონიერმა სოფლის კაცებმა  
ათი ხელით,  
ძლიერ დაასკუპეს ეზოს ერთი მიჩქმალული,  
ბნელი კუთხიდან ჩემს ყვავილნარში...  
ნეტა იცოდეთ, ეს მძიმე განძი  
რა ფაქიზი ყვავილებით უნდა მოგირთოთ!  
ასე უნდა გადაგიტიოთ

ზურგით ნათრევი ქვის ლოდებიც უთბილეს სახლად, —

მე რომ ვოცხებობ სათქვენმომავლოდ, —

სახსოვარივით დაგიტოვოთ,

ისე როგორც ციდან ჩამოყრილი

თვალუშურა კესანები

წინა-წინა-წინა-პარებმა...

\*

ჩვენს ეზოში, ზენაქარისგან დასაცავად  
ტყეს გაგიშენებთ, შერეულ ტყეს,  
თორქმ ძნელი გასაძლებია  
თებერვალში სუფსარექისის  
ყინვიანი ცივი ქარები; —  
ქვენაქრისაკენ — კაკლის ხეივანს,  
დაბალი ჯიშის უნდა იყოს! —  
მზის ჩასავლების ცეცხლიანი საღამოების  
პორიზონტი რომ არ დაჩრდილონ...

რამდენი სისხამი დილა უნდა გაითენონ,

რამდენი გაზაფხულის კეირტები

უნდა შეიძან ლერწამნელა ნეკერჩლებმა,

სათქვენოდ სამყოფი ჩრდილები

რომ მოისხან,

შეიღებ!

\*

ნეტა შევეჩიო დილაბინდზე გაღვიძებას,  
ზაზალაკების წკარანკურით რომ გავდევნო  
საძოვარზე  
სქელკისერა, დაკუნთული, ჯიშიანი,  
ალბათ, ძროხები,  
ისე, როგორც ხონჭიორში  
ირლევოდა დილის ნისლი  
ნიკორნმინდისკენ მიმავალ გზაზე  
სოფლის ნახირით...  
და საღამოც...

ჯერ შორიდან...  
მერე სახლთან...  
მერე სახლიდან მუხისკენ...  
ნელი ტაატით, მძიმე-მძიმედ,  
ათასგარი ზარების რეკვით  
აღამებდა რაჭას მთელი დღით გადაღლილი  
სოფლის ნახირი...

\*

ჩვენი ქვის სახლში  
კაკლის ანდა ცაცხვის ხის გობზე  
მოგზილავთ იმერულ ჭადებს;  
მინდვრის ბალახების ნიგვზიან ფხალს  
მოგიეპავთ ტარზუნანს, ია-იების  
ყვავილშერეულს;  
ხის გობზე შეგიკაზმავთ კირკაულობის,  
კვახინელასაც (დავინტებულს!) თხილ-კაკლიანს...  
ომბალოს სუნი ექნება გაზაფხულს —  
მწვანე ტყებლის სუნი;  
ძმრიანი ახალი ეკალას სუნი,  
შემოდგომით ნათესი, ზამთარგამოვლილი,  
ნითელფერშეპარულფოთლიანი ქინძის სუნი...

\*

სახლი გექნებათ მკვიდრადნაშენი,  
ფუქედალოცვილი,  
ფუქედოერი,  
ფუქეგამრავლებული სახლი...  
დედაგენაცვალოს სახლი,  
ბებოგენაცვალოს სახლი,  
ჩამოხვედით, დეე! — სახლი,  
მიყვარხარ, დეე! — სახლი...  
თეთრადაფერტებული ტყემლის ყვავილების  
სურნელი ექნება თქვენი შვილების  
გაზაფხულებს,  
თეთრი ყაყაჩობის და  
ღვინისფერი კორჩიოტების სუნი ექნება  
თოვლის ნადონბს;  
ჭიშკრისკენ მიშტერებული,  
მომლოდინი გულისძგერა ექნება  
თქვენს მონატრებას,  
ბერული, ბუზლუნა ხმა ექნება  
მე და მამათქვენის მარტოობას;  
ზეცისეკ ხელაცყრობილი რიტუალი ექნება  
ძილისწინა ღამის ღოცვებს...  
ღმერთო, გვიშველე ღამეები...  
იმედიანი ღამეები,  
რომ ერთხელ, ისე, როგორც ბებიაჩემა,  
მეც მოყიტან წყლიან ჯამში ჩაგდებული  
ცხელვარარა ნაკვერჩხალი, —  
ცივწყლიანჯაშმი შავნაშირად გადაქცეული, —  
ხელში შავგადანა ჯაყვადანა დავიჭირო  
და გულმოდგინედ შევულოცო  
ჩემს მონაგარს: —  
„ალისასა-მალისასა,  
შეგილოცავ თვალისასა...“  
„გულო-გულთანა,  
სულო-სულთანა...“  
მეც შემოვაჯენ ხის ჯორკოსკამზე  
ჩემს შვილისშერებს,  
დედაბერივით დავიფუთნი  
თავ-სახე-ლოყას ჭრელი თავსაფრით,  
შავტარა ჯაყვით გამოვულოცავ  
და დავუფრთხობ ცუდმაცქირალებს...  
დაიჯერებენ პანაწუნები,  
ისე, როგორც მე ჯვეროდა,  
რომ ბებიაჩემის შავტარა ჯაყვის  
ეშინობათ ეშმაკებსაც,  
ჭინკესაც, საზმრის მაჯლაჯუნებსაც,  
რომ ვერავინ მოერეოდა  
ხელებდამჭერანი, ტებილ-თბილი კატოს  
ჯადოსნურ ლოცვებს  
და თავიდან ფეხებამდე  
ლოცვის მადლში გახვეულები  
გავრბოდით გარეთ...  
მეც შემოვსალტავ ლოცვა-ვედრებით  
ჩემს პატარებს,  
ძილს დაფუფულთხობ გლახათშემხედვარებს,  
რომ მერე...  
სოფლის მზით ლოცებდაბრანულებმა  
ქათმის კაპანზე საბუღრისკენ  
ერთმანეთს გაასწორო,  
თბილ-თბილი კვერცხები მუჭში მოიქციონ  
და ფრთხილი-ფრთხილი-ფრთხილი ნაბიჯით  
მობაჯადნენ ბებოს კალთასთან...  
მერე ღამით (ღამით აუცილებლად!),  
ისე, როგორც დედაჩემა,  
მოკრუხებულ დედალ ჩავუწყო  
თივაჩაჩებულ თბილ საბუღარში ღუნდულია  
ნიხილების გამოსახულება...  
(ან ცხრამეტი ან ოცდაერთი —  
ეს ცოდნაც დედის სახსოვარია!)...  
სახლი უნდა ავაშენო რძისფერი კირქვის...  
მზე რომ ჩამომადნეს ხელისგულზე, შვილებისათვის  
კვერცხის შესანვავად გაშვერილ ხელისგულზე...  
დედაჩემსაც ასე დაეთუთქა პირველად ხელები,  
ჩვენთვის რომ თოხლოკვერცხს ამზადებდა







ჩანელებულ ოთახში ფარდები ჩამოფარგებულია. მაღვიძარა გაბმულად რეკავს, გვარიანად დაბზარულ პლასტმასის კორპუსზე ეტყობა, ბევრჯერ განუცდია დილით გაღვიძებულების უქმაყოფილო ხელით კედელზე ან იატაკზე მინარცხება... ბავშვი განწირულად ტირის, ახლახან გაულვიძა, პატარა სანოლში ფეხებს გამალებით აძალებს და ჯიუტადითხოვს ყურადღებას... იქვე ლოგინიდან ახალგაზრდა გოგონა დგება, ნამდინარეეს გამოფხილება უჭირს... ფეხებს სწრაფად წაყოფს ძალის ფორმის ფუმულა ჩუსტებში. ლანდივით გამხდარს, სიფრიფანა ტანზე, მსუბუქი დამის პერანგი აცვია, რომელზეც ცეცხლისფერი უდალი თმა არულად აქვს ჩამოყრილი... ნახევრად მძინარე ბავშვის სანოლთან მიდის და მჩხვანა პატარას ხელში იყვანს...

— ამას არ ითხოვდი? ხელში აყვანას, შე ინავარო? ყურადღებას? რაღა გატირებს?... — ჩაილაპარაკებს გოგონა, პატარას ცხვირზე თითოთ გაეთამაშება და ბავშვით ხელში ითახის ბოლოს, ფარდით გამოყოფილ სამზარეულოში შეაბიჯებს. ბავშვი ისევ ბოლო ხმაზე ჯლავის... გაბმულად... არ ჩუმდება...

— გააჩუმე რა, გთხოვ!.. ხო იცი, თავი მისკდება... — გაისმა სანოლიდან ბიჭის ნამდინარევი ხმა, — ლუდი გავაქვს?..

გოგონამ მაცივარი გამოაღო, პატარასთვის გამზადებული სანოვარინი ბოთლი ხელის გულებულებით შეათხო, უკვე ცოტა და მშვიდებულს, ციცქან, ნაკეცებიან ხელებში დააჭრინა და სანოლში ჩასვა.

— არა!.. ლუდი არ გავაქვს... — მოკლედ მოუჭრა ბიჭს უქმაყოფილოდ და თავის მხარეს სანოლის გასნორებას შეუდგა.

გოგონამ ფანჯრებს დაუარა და სამივეს ფარდა გადასწია, ითახი დილის მზის სხივებმა თვალისმომჭრელად შემოანათა.

— დახურე რა!.. თვალები მტკივა! — გაისმა ისევ სანოლიდან ბიჭის ბუზღუნი.

— შენ არ აპირებ ადგომას?.. — გააგრძელა გოგონამ ჩაცრა, ისერომ ბიჭის მოთხოვნა არ შეუსრულება.

ოთახის მეორე ბოლოში ერთ-ერთი კუთხე ასევე ფარდი იყო შემიტარებული, გოგონამ ფარდა სწრაფი მოძრაობით გადასარიალო ლითონის საკიდზე.

— გაიღვიძე, სალომე, დაგვაგვიანდება! ადექი!..

პატარა სანოლში უდალომიანი, ჭორფლებიანი გოგონა კოტრიალიბდა და უკვე თვალებს იფშვნებული. სანოლის თავზე კედლის კუთხე სხვადასხვა სტიკერით და პოსტერით იყო აჭრელებული, თაროებზე კი სუპერგმირების ფიგურები ჩაემნერივებინა და საკმაოდ მყუდროთაც მოეწყო კუთხე...

სალომე სწრაფად წამოხტა ლოგინიდან და საპირფარებლებენ გავარდა.

— პირველი! პირველი! — გაპეიონდა გზადაგზა... ნახევრად მძინარე მამას სწრაფად ჩაურბინა, მის ჩაეროლებაზე მამას სახეზე ნიავის ტალღამ დაუბერა და შედარებით გამოაფხილა...

— ტატო, გაიღვიძე! დედაჩემი ერთ საათში მოვა, დაელოდე... ბავშვი დაუტოვე და მერე გადი, სადაც გინდა!.. დღეს არ მიდიასა რ ის ვაკანსიაზე?! — საპირფარებლის რიგში დგომისას გოგონა დროს არ კარგად და კარგად ყავისგურებული ზურგინათას სწრაფად ავსებდა სხვადასხვა საჭირო ნივთით. მაცივრიდან უბის კატების სოფის შეგროვილი საჭმლის ნარჩენებით საკვე კონტრივერი გამოიღო და ისიც ჩანთაში მოათავსა.

— სალომე, ჩექარე რა! — კარზე მიაკაუნა და უქმაყოფილო სახით გააგრძელა ზურგჩანოს ჩალავება.

— თათა, ლუდი მართლა არ გავაქვს, თუ მესუმრე?.. — ბიჭი ლოგინში წამომჯდარიყო და ნამდინარევი თეთრი მაისურის ჩაცრა ცდილობდა.

ნვალებით თავზე ნამოიცვა, სწრამოჭრილს ვერ პოლობდა თავის გასაყოფად...

გოგონამ შეხედა, თვალმოჭულებულმა თავი გააჭნია და ერთი ხელის მოძრაობით გადააცვა თავზე მაისური.

— გთხოვ, ლუდი ამომიტანე რა! — ისეთ ტანჯულს ჰგავდა, მართლა შეაცოდა თავი, თვალები ჩასისხლიანებოდა, სახეზე კი ნაცრისფერი ედო...

— კაი, ჯანდაბას, სალომეს ჩაცვი მანამდე... — გოგონამ სწრაფად მაისურის ჩერებული და გასასასას...



## დავით ჭკუასელი

# ევგენი

— ემაყოფილმა ჩაიცინა ტატომ, სალომეს ხმაურით შეწუხებულმა ფანჯარაში გადაყო თავი და იქიდან გააგრძელა საუბარი.

ამასობაში კარი გაიღო, თათამ ლუდის ჩაციებული ქილა მრგვალ მაგიდაზე ხმაურით დადო და მონესრიგებულად იყო გადანალებული ითახი სავალის უკმის პატარა კუთხე იყო გამოყოფილო...

ამასობაში სალომე საპიროვარებში დამოვარდა, სანოლზე შესტა და ხტუნაობა დაინყო.

— დღეს პარასევეია, ნა ნა ნა... ხვალ სკოლა არ არის!.. — მატრასზე დახტორდა თმაგარებილი და თან ხვალინები შეაბათისვის მიძღვნილ სიმღერას თხზავდა...

ტელეფონის მოგუდული ხმა გადანალების უნივერსალი ბიჭი გაისმა, სადღაც ითახი იყო მიკარგული, მაგრამ ღმერთმა უწყის, ზუსტად — სად...

— მამი, მომიძებნე რა, გთხოვ! — ბიჭი, უკვე წამომჯდარი, ფეხზე ბოტასებს იცვამდა და თან თვალებს გარშემო აცეცებდა, უყურადებდა, ცდილობდა, ამოცნო, ზუსტად საიდან ისმოდა მოგუდული ნოკიას ზარის ხმა. დამჯდარმა სანოლზე ვიზრაცია იგრძნო, ტელეფონი საბანის ქვემოდან ამოქექა და უპასუხა.

— სალომე სწრაფად წამოხტა ლოგინიდან და საპირფარებლებენ გავარდა.

— პირველი! პირველი! — გაპეიონდა გზადაგზა... ნახევრად მძინარე მამას სწრაფად ჩაურბინა, მის ჩაეროლებაზე მამას სახეზე ნიავის ტალღამ დაუბერა და შედარებით გამოაფხილა...

— მამი, მომიძებნე რა, გთხოვ! — ბიჭი, უკვე წამომჯდარი, ფეხზე ბოტასებს იცვამდა და თან თვალებს გარშემო აცეცებდა, უყურადებდა, ცდილობდა, ამოცნო, ზუსტად საიდან ისმოდა მოგუდული ნოკიას ზარის ხმა. დამჯდარმა სანოლზე ვიზრაცია იგრძნო, ტელეფონი საბანის ქვემოდან ამოქექა და უპასუხა.

— მამი, მომიძებნე რა, გთხოვ! — ბიჭი, უკვე წამომჯდარი, ფეხზე ბოტასებს იცვამდა და თან თვალებს გარშემო აცეცებდა, უყურადებდა, ცდილობდა, ამოცნო, ზუსტად საიდან ისმოდა მოგუდული ნოკიას ზარის ხმა. დამჯდარმა სანოლზე ვიზრაცია იგრძნო, ტელეფონი საბანის ქვემოდან ამოქექა და უპასუხა.

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— სალომესთვისაც მოულოდნებრივი არ მომორჩეოდა საკოლაში უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...


— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად მოინდომა და თითქოს გამოუყიდა კიდეც...

— რა არის ეს? — თათამ სალომეს უკმის გულებილმა წამოხტა მიუთითა, — ვაიმე... რა გინდა, საკოლაში უხერხებოდა და მკარი დედობა... ახლა კი ნამდვილად







## ზაზა მალულარია

სიტყვათ ნასეტყვი...  
ანუ ღმერთის ალტერნატივა

რაა სათქმელი,  
ან თქმით რას ვაგებ? —  
ხშირად სიკოცხლეს თვისი ფასი ვნებს,  
ზოგს რომ ერთ გზაზედ ერგო ასმაგი,  
სხვებმა იმავ გზით დათმეს ასივე...

ბედიც თვის  
ბედის  
ბადეს დასტირის:  
მზით ნაგრიგალარ ვნების აკორდებს,  
სად ჰანგთა ღრენა გუდის და სტვირის  
მოჩრილ იჭვივით ცდილობს, აგორდეს  
იმ ბრძანთ ფიქრთ შორის, ვინაც ინამეს,  
რომ მკერთო სიბნელეს ძალუმს ნაღვენთ დდეს  
დააშეგინოს ღმერთი მიწამდე,  
რომ მინიერი კერპი გაღმერთდეს;  
რომ უხმოს სულეთს, თავსლაფს არიად,  
გაელაქუცოს მინორს მაჟორით,  
სად ცა და მიწა თანაბარია  
და მზემდე ქვესკნელს არ რა აშორებს;  
და მასში იმ მწველ აჩრდილს დასცინოს,  
ვის ტრფიალების არგო ზარები:  
თოფაუსსმელი ჯარისკაციით  
სათოფეზე რომ არ ეკარება...

...ალბათ ყველა, ვინც სითბოს გაურბის  
და ყიამეთის ხიბლში ევლება,  
ცდილობს, ამ ფანდით ფეხი აუქას  
განცდებს, გამოზრდილს გონიში მხევლებად...

სიტყვათ ნასეტყვი გრძნობათ არტყია,  
ვით შეპყრობილთა ინსტიქტ არშია,  
ჭეშმარიტება უტყვი ბარტყია,  
რაც უპურბამ ვერ დაამშია...

...ან უთქმელობით, ან თქმით რას ვიგებ? —  
ხდება, ვალეტით ჯოერებს ფურთავენ,  
რადგან ხამო ხურდად  
არგეს ასრიგად,  
კვერთხნი,  
ღმერთი კი მიახურდავეს,  
ერთი უშვერი  
ფრაზით ბასრითდა —  
გამგმინავით და ლიად მხეთავით...

...და რადგან სიტყვა ლვთის ძალს ითვისებს,  
როს ცის ტატნობით რთავენ  
მინიერს,  
მეც ჯვარს მაცვამენ ალბათ ფიქრისთვის,  
ასე ხმამალლა რომ მომინია...

## ეშავის აღსარება...

წამით არც ერთით იმ გზას არ ვმდგარვარ,  
უფლის რც მეტ ჰქვია (ვგმობდი არც რამეს),  
მაგრამ წყვდიადის მოდგმის რადგან ვარ,  
ბეკნი ყველადამ ჯვარზე მაცვამენ...

მე ის სვავი ვარ,  
ვინაც იარა  
ლურსმნის წვერებზე  
უხმოდ, ფარულ სვლით,  
არც დამჩნევია ოდნავ იარად,  
თუმც უსაშეველოდ მტკივა ნალურსმნი...

ის ვარ, შეაკლა სული „ნამუსს“ ვინც,  
რწმენა მკრდიდნ ვინც აისხლიტა...

არ შემხებია ეკლის ნამუსვრიც...  
მაინც მეცლება შუბლი სისხლისგან...

ვინც სულეთს იხმობს იუდეიდან  
და სულში ცისკრის ამბოხს იოტებს...  
ჩემი „გამცემი“ იუდებიდან  
ერთიც კი არ ჰგავს ისკარიოტელს...

არ ვუწყ სადამდის კიდევ მიცხოვლებს  
უამი დღეის თუ მერმის აქცენტებს,  
ამაზრზენია შემდგომ მაცხოვრის,  
რომ ჩემი ლეშით ჯვარი აღზევდეს  
და რა სილალეც მერგო არჩივად,  
გარდაისახოს ტანჯულ, მნაცრ იად...

...ჩემს ულმერთობას სულაც არ ვჩივი,  
მე იმ ჯვრის ხევდრს ვგმობ, ზედ რომ მაცვია...

...და დინჯად დაცეკერ  
საფლავს გაუთხრელს —  
ასაქს მოტმასნილს „ჯეელ“ ციფრებად...

იმ ხამს რა ვუთხარ,  
იმ გვამს რა ვუთხარ,  
ღმერთს რომ ჯვარცმაში შეეჯიბრება...  
---

...მაგრამ ერთხელაც ვინმე ფერმერი,  
გადალაჯებს ნაგებ უფლებათ,  
ყალმით მოყაზმავს ჩემს ხატს შერცხვენილს  
და ჩემზე ლოცვით დაგემუქრებათ...

## ინაუგურაცია...

ალყად  
ალაყაფის  
კართან  
„კართაგენის“  
ბალთად: მეხამრიდი  
ბეგრათ პირამიდა...

ალთა ახალ კერებს  
კალთა ქართა გენის  
ართავს  
მევეხარ ლიდერს  
მჭლე ხარ — ტირანიდან...

\*\*\*  
თავის დროზე ჭენება სუროც  
(ვარდზე მეთქვა?  
მეხამუშა...),  
წუთისოფლის ნება-სურვილს  
მალ-მალ იქმევს მეხად მრუში...

ასეთია ზეცის ნება:  
ფარი — ფართან,  
ბარი — ბარში...  
ხორცის შიმშილს ეწირება  
მორცხვის შიში კანიბალში...

რა აქვს ფასი განძთ სავანეს,  
უგანძოდ და შაურითა?  
ფასობს  
ასო „ყან“ და „მან“-ი  
და „ლექსს“ რასაც გაურითმავ...

ხოლო მინა — სადა მხეცი,  
გიცდის, როგორც შეიხს ეტლი,  
სულ რომ სული „ცად აკეც“,  
ხორცს უთუოდ შეიკედლებს...

წუთისოფლის მერთალ, ხსნად ფორებს  
ირგებს, როგორც მაისს ვაშლი...  
ეჭ... კაცთა ჯოგას რა ხსნა, თორი  
სურო ფოთლებს მაინც გაშლის...  
---

...თავის დროზე ჭენება სუროც,  
თებერვლის დარდს მარტი მოსავს...

...და შენც გაჭკნობს ვნება, სულო:

გათელილო პატიოსნად...

\*\*\*  
შენ ჭრი ეული გზებს წარმოსახვითს,  
ფამილიარობის მსახურს იოჩევ ხანს,  
საზღვრავ სივრცეებს უკან მოსახედს,  
რომ ხრამში უმალ არ ჩაიჩეხო...

შენ უხილველი ძაფით ნაკერი  
კადნიერებით მოსავ ორ კალოს:  
ცდილობ, გაექცე ხანძრის ღრმა კერებს,  
თან ნახანდრალი არც მორკალო...

ირგვლივ ომია,  
ხუთვა,  
ცეცხლი და...  
მოაქვთ მესიად მოგვებს თავები...

ორმოცდათი სუფთა ვერცხლიდან  
გროშსაც ვერავის მოედავები...

ალბათ ეს ცეცხლი სულეთს მიატანს.  
ცას აახრიოლებს მძრნოლი შეხებით...  
ერთი ნაბიჯი,  
ერთი ტყვიაც და  
ძველ მისწრაფებებს ბოლო ედებათ...

...შენ კი მაინც თლი მიზნებს დაგეშილს,  
ხვალ ჩამოსართმევს, „სადას“ იოჩევ ხელს  
და ვერც იაზრებ, როგორ დაეშვი,  
ხრამში უდვითოდ ვით გადაიჩეხე;  
ვით ხრამში სხეულში სინდის გარდაცვლილს:  
ურცხად გადაცვლილ ქურნეს კურატზე,  
თან ლამიბ ძველთან ხიდის არდანვას...

თუმცა...  
ხანძარი სულ სხვა სურათს დებს...

\* \* \*

...მტვრად განიბნევის ცის წიაღში ცამდის მართალიც,  
რადგან თვით უფლის ნატევან მინას ხასად სწყურია  
სისხლი: რწმენისგან დაწერებილი, გემსს შენართავი,  
რომ მარად გწამდეს: სხვა საწყისიც დასასრულია...

ცის თალი პოტინობს დღენიადაგ ყველა ტირანი,  
(ვინც გონი კუპრით გადათხაპნა, ასგზის კაცია!),  
კერპთ შებლავიან სასოებით და სულს სწირავენ,  
ფუყე არსობის უსიცოცხლო ასიგნაციებს...

შენ კი...

სჭვრეტ ცას და ღმერთს ვერ ლანდავ...  
ბარდი მაყვალის,  
ნაზი ეკლებით გეტმასნება სადად, ცის როლით...  
დღეს იუდები გაიაფდნენ ისე საყვარლად,  
რომ სისატიკე რვა მთას იქით გადაისროლეს...

...და ამ აზრნაშრეტ საჯღაბნეთში,  
სად ხრამს ერთვის ცა,  
სად მზის მწველ ხახას ეფიცხება ფიცხი გენია,  
სადაც ყველაფრის ადგილია, გარდა ღმერთისა,  
ცისენ აიჭრა? — მეტისმეტად ამაზრზენია...

...მალე წიმიბები ხმელ ბილიკებს გადარეცხავენ,  
სივრცის სიბერნე ზღვას მიაწვდენს

(ანც ლომს) მწირველ ნაეს...

...და ზამთრის ამბორს დაკავდება ბოლო მერცხალიც:  
იგი, რომელმაც გაზაფხული გვამცნო პირველმა...

\*\*\*  
კაცი რომ ბჭობდა ღმერთის სახელით,  
იცინოდაო, ღმერთს ვინ აკადრებს...  
ვემნით წარმოსახვით ზვართა ზღვა კადრებს...

დწეპრი და დწიპრო,...

Libre და ლიბრი...

დუშმორეული უერემისასი...

სხვა სიბრტყეს იპყრობს

ჯვარხსნილთა ჯაბრი

და მის, რაც არ გწამდს, გჯერა მეასედ...

კართან კარბიდის მომცრო ვარცლი და  
მზერა — მზე კრულის,

ბგერა — „თვალადი“...

კვლავ გსურს, ფაცხიდან

აწმყოდ ვარცხნიდე

ნარსულს: ეკლექტურს და მოძალადეს...

ერდო და ვერდი,

ანდი და antre...

სიმაღლის შიში ქვესკნელში გიხმობს,

გიზიდავს ფერდი

და ცის თალს ადრი

უფსკრულს: ჩაქცეულს ზმანებებს მიღმა...

გირჩი და სირჩა...

რძისფერი ხეთვა



## ხელი

შენ სხვა ხეებიც გეტანებიან,  
ო, არა მარტი ეს ვერხვნარები,  
შენ კი შენულ ნეტარებიან —  
უნეტარებოდ დაიარები  
სხვა ბილიკებით, ბუნდოვან მხრისკენ,  
სადაც ხეები აღარ არიან  
ამოზილული, რომელიც იყვლევს  
ტოტებით ცისკენ სივრცეს ქარიანს.

ჰო, შენ ხეები გეტანებიან  
ფოთოლშრიალა სურვილ-წყურვილით,  
მეტად მძიმეა მათი ტანები,  
მეტად დოდა მათი დუმილი  
შებანებისას, გაწვიმების ნინ  
როცა ქუფრია, ჩამოლრუბლული,  
მთა ნისლს კალთაზე რო გადაინვენს,  
ვით კაცი მკლავზე ქალს თვალმილულულს.

გეტანებიან ეს ნაძვნარებიც,  
ეს ფიჭვნარებიც და მუხნარებიც  
და სადღაც ნუღარ მიეჩქარები  
შენს საკუთარ თავს. ნაიარევი  
აჩვენე ხეებს, დარდიც უთხარი,  
უთხარი ერთი წინადადება,  
რომელიც ხეებს უმწუხრ-უხარის,  
ვით ახალმობილს აქ დაბადება —

დედამიწაზე. ხეებს ეჩვენები,  
როგორც გულისსწორს რო ეჩვენები,  
ხეებს ფესვებზე გადაესვენე  
და განიშორე ბნელქვესნელები  
შენივე მყოფი. სწორედ შენივე  
არსებულ დიად ხეებს უნდიხარ  
და ადექი და არსში ეძიე  
უსასრულობის სიხარულის ხმა.

## სოფლის სალამოები

სალამოობით იპარება ტყისაკენ მზერა,  
შეყვითლებული ტყეებისკენ მინევს წყვილი,  
რომელთა გულის საალერსოდ დაძაბულ ძერას  
ქოხი სწყურია, რომ ესმოდეს წკაპუნა წვიმის.  
საძოვებებიდან საქონელი დაიძრა ნელი,  
მძიმე და დინჯი ნაბიჯებით, თან ზლაზნით, სოველ  
ბალაზე მიდის, სოფლამდე კი პატარა სერი  
გადავლილია — ბილიკებზე ნაჩლიქარს ტოვებს.  
ჩამავალი მზის სუსტ სხივებზე ჩანს ბუზანები.  
წინაპრის მსაგასად, ღვთისნიერი, აშენებს ბელელს.  
და ალაგ-ალაგ იბერტყება ჭოკით კაკალი,  
დრო, ჭრინახულის მოწევნისა დაუდგათ გლეხებს.  
შაშვები სტვენენ. შეშას ჩეხენ. ყრია გუნდებად  
ლურჯ გორაკებზე გაფანტული თივის ზეონები.  
ომში ნასული ჯარისკაცი არა ბრუნდება,  
დედა გზას გასცექრს, დღის მანძილზე ნაქვითინები.  
ამ სალამოებს, ჩიტებიანს, ნათელსევდიანს,  
გზა ემწუხრება. ხეები კი ჰეგანინ ეკლაპტრებს.  
მოსახლეები დალალული სახლში შედიან,  
მიუსხდებიან გასუსული ტელე-ეკრანებს.  
ზაფხულის ბოლოს კენტად შერჩა კერას და ფუძეს  
ნამრობ-ნაჯაფი, უპესევლი ბებო და ბაბუ,

უსმენენ (წყნარად ჩამომსხდარი პატარა კუნძზე)  
ჭრიჭინათა ხმას, დამეებში, სიმებად გაბმულს.

## ქაღალდის მუსიკა

ნეტავ, რომელ გზას მოვყავარ შენსკენ,  
ყველას თუ არცერთს?!

ჩაძირული ვარ, მძიმე ლოდივით,  
შენი თვალების ხავსიან ფსკერზე.

ლრმა ძილით მძინავს.  
ფამაფარე შენი თვალების ცის მნვანე მოლი.

ჩემი სიმარი  
ნესტის შემოურვაა ბზარიან კედელში...

ჩემი ჩურჩული  
აქვითინებული მდინარის ხმაა...

ჩემი სიყვარული  
კლდიდან გადმომსკდარი ნაკადულია...

მე დავლადმდები და გავთენდები.  
მე გამოვილი მილიონ წელიანდს —  
მილიონ საბნელის და სინათლის გვირაბს,  
უთვალავ ზამთარს, გაზაფხულს,  
ზაფხულს და შემოდგომას,  
და თოვლს მოგიტან, ყვავილს მოგიტან,  
ცვრის ბალახის სურნელს მოგიტან  
და ხებიდან მომწყდარ ყვითელ ფოთლებს მოგიტან  
და ყველა მკვდარი ლამის ბეპელა  
ისევ აღდგება,  
ამოფრინდება ოთახის მტკრიდან...

მე ხელს ამოვყოფ ყველაზე დიდი ჭაობებიდან  
და მეჭირება ერთი ყვავილი —  
დალაქული სისხლის წვეთებით,  
რომლის გადარჩენაც შევძლი შხოლოდ  
ჩემ საკუთარ თავთან ბრძოლისას,  
ის გაბრწყინებს ისე უეცრად,  
ვათარცა ელვა უკუნეთ ცაზე  
თავსხმა წვიმისას.

მე ყველა გზას ვადგავარ ახლა,  
ყველა ბილიკზე, ყველა ქუჩაზე მე მოვაბიჯებ!

მოვაბიჯებ და მომსდეს თოვლ-ჭყაპი,  
მოვაბიჯებ და მომსდევს ნიაღვარი!

მე საკუთარ მუსიკას შევქმნი —  
ქაღალდის მუსიკას...

აიშლებიან ქაღალდები — მაგიდის პეპლები,  
როგორც ნერვები,  
როგორც ტბაზე მობინადრე ფრინველთა ფრთები  
და გაგვაფრენენ უნმინდესი ქაოსისაკენ,  
სადაც ცისკარზე მღერიან ქვებიც,  
არათუ მხოლოდ მინდვრები და ველის შროშნები...

რად ვერ დასრულდა ხეტიალი ამ უდაბნოში?!

იქნებდა, მართლაც  
უდაბნოს სიჩრმეა ლურჯი მარადისობა...  
იქნებდა, მართლაც  
უდაბნოს გარიზდება სიმშვიდე ჩენი...

გაუდრითოლია ყველა ქვა სიტყვით,  
გაედენთილია ყველა ქვა ცრემლით,  
ხოლო სიტყვა, და რა ტქმა უნდა, ასევე ცრემლი,  
გაედენთილია ადამიანით...

ნეტავ რომელ გზას მოვყავარ შენსკენ,  
ყველას თუ არცერთს?!

დილით ოთახში მზე გუბდება,  
ლამით კი მთვარე,  
ხოლო ქაღალდზე გუბდება მელანი,  
რომელიც ვცურავ ეს რამდენიმე წელია უკვე  
და არ ამოვდოვარ,  
როგორც ის გედი, რომელსაც სატრფო  
შორი ქვეყნიდან გადმოფრენისას გზში მოუკლეს  
და გადაწყვიტა მღვრიე წყალში თავის დახრჩიბა!

ქაღალდის მუსიკა  
სხვა მუსიკა, სხვა პანგებია...

სხვა სამყაროს გახსნაა  
ქაღალდის მუსიკა,  
ქაღალდის მუსიკა,  
ქაღალდის მუსიკა,  
ქაღალდის...

\*\*\*

ჩემი ნეკნები კლავიშებია.  
მოდი. დაუკარი.

ლრუბლები ცაზე აფიშებია.

სანუკვარი.

ჩემი და შენი სუნთქვებია —

ფოთლების საუბარი.

ქარო, დაუბერე.

## ხელის პოვინი

ჩენ საკუთარმა ხელებმა გაგვცეს,  
გვამილეს უკვე, რომ ერთმანეთის  
გარეშე ყოფნა არ გვინდა არცერთს  
და ეს სურვილი ლოცვას ჰგავს მერცხლის  
და ერთმანეთში ვგროვდებით წვეთ-წვეთ  
და ფანტელ-ფანტელ და ფოთოლ-ფოთოლ  
და ფურცელ-ფურცელ. ტალებში შევწვეთ,  
თუმცა ტალებში ისედაც ვცხოვრობთ...

ჩენ საკუთარმა თვალებმა გაგვცეს  
ცრემლით, ციმიტით, მზეებით, მზერით,  
ვიცვამით სიცისორეს — ბალახის ნამცრევს,  
რომელიც დილის სინათლე მღერის...  
ბურუსადაფენილ დღეების მღვიმე  
შესასვლელია სწორედაც იმ ცის,  
სადაც სიმწვინეს ღვრი შენ და ვლვრი მე  
და ხორბალივით — ერთმანეთს ვიმკით...

ჩენ საკუთარმა ლექსებმა გაგვცეს  
ყველა ხმონით და ყველა თანხმოვნით,  
ყოველი სიტყვის ვაწებებთ ნამცეცს  
და ვერმინით მუსიკას — სივრცეს სამოთხის...  
სავანები ჩუმად გალობს ცის,  
თან ისე მწყობრად, ჰარმონიულად,  
რომ დედამინის საზღვრებს გამოვცდით  
და მოელ ვარსკელავეთს ვგრძნობთ და ვისუნთქავთ.

ჩენ საკუთარმა დუმილმა გაგვცა,  
თოვლის თითებით ვამყარებთ კავშირს  
და არ გვჭირდება არც მიწა, არც ცა,  
რადგან ჩენშია მიწაც, ცაც, ბავშვიც...  
ჩენს მორის მანძილს, ჰორიზონტს ამკობს  
ჰაეროვანი სუნთქვის ბეგრები  
და შენ არასდროს, გთხოვ, არ მომაკლო,  
არ მომაკლო,  
არ მომაკლო  
შენი ხელები.

რა იდუმალია ადამიანი,  
როგორი ღრმა და შეუცნობი არსება,  
მთელი თავისი შიდა და გარე არსით —  
დაბადებამდე დედის მუცელს ამობურცავს,  
გარდაცვალებისას — მინისას...

## შე და მე, ანუ შემოდგომის სონათა

ბუხარში ცეცხლი და ცეცხლზე სოკო,  
ბუხრის თავზე კი — საათი, წიგნი,  
ბუხრის წინ მჯდარი ბიჭი და გოგო  
და გული გულთან და სახლი შშვიდი.

მათ სიყვარულის შეიძყრეს ჩიტი  
და ერთმანეთში გაუშვეს ლადად...  
ნატრობენ ბავშვის სურნელს და ღიმილს,  
რაც მათში დიდ იმდებს სახავს.

გარეთ წვიმა და ჰაერი ცივი,  
ხეები სველი, ქუჩები სველი,  
ტყე ნელა-ნელა სიყვითლეს იცმევს  
და ახლოვდება გრძნობების რთველი

და ეწებებათ გულზე ცა მისი  
და ეფიზებათ ფოთლების მსგავსად.  
გუბდება ხევში მდუმრე ნისლი,  
ქაღაქს, რომელიც ახლახანს გასცდა.  
და რასაც ახლა ეს წვიმა მალაგს,  
რაღაცით თითქოს ედრება ედრება  
აქვს ღვთაებრივი მადლი და ძალა  
და წკაპა-წკაპით ქმნის თავის შედევრს

და შემოდგომის მატულობს სილრმე  
და ცივი სითბოც ახლოა ზამთრის  
და გორაკების ქათე



როგორი ადამიანი ვიყავი? ვფიქრობ,  
ნარმოდგენა უკვე შეგექმნათ მას შემდეგ,  
რაც გაიგეთ, ამჟამად სად ვიყოფები. მე  
იმას გიამბობთ, რამაც აქამდე მომიყვანა.  
ნუ შეგეძინდებათ, ყველაფერს არ მოვყენე-  
ბი. მეხსიერებას ბევრი არც არაფერი შემო-  
რჩა; თითქოს, წარსული სრულებით წაიშა-  
ლა ჩემი გონიერიდან, მხოლოდ რამდენიმე  
მომენტია, რაც არ დამვინყებია და ამაზე  
ვისაუბრებ.

თავმომზონება და მედიდური ვიყავი. ქედ-  
მაღლობა და ცხვირანეული სიარული ჩვევ-  
აში მქონდა. არც ადამიანების დაცინვას  
ვერიდებოდი და გამუდმებით ვცდილობდი,  
მათზე უკეთესი გამოვჩენილიყავი. ამ ყვე-  
ლაფერს ჩვენებურად ყოყლოჩინობა ჰქვია  
და უფრო ცუდი სახელიც, მაგრამ საკუ-  
თარ თავს შევპირდი, რომ კულტურულად  
დავწერდი, გადამტებისა და შეფარვის  
გარეშე. ჩემი თავგასული შეხვედრები ცხ-  
ოვრების წუმპედ მექცა, მაგრამ რატომლ-  
აც სუნს ვერ ვგრძნობდი. მეტიც: მომწონ-  
და და მისამოვნებდა, თანაც ამის შესახებ  
ყველგან და ყველასთან ვსაუბრობდი.

მახსოვეს, ერთხელ მათხოვარი დავინახებ  
ქუჩაში, გვერდით ჩამოვუჯექი და სიამაყ-  
ით ვუყვებოდი ჩემს განვლილ „ბედნიერ“  
დღეებზე. მისი მზერა სულს ახლაც მი-  
წიოკებს. მიყურებდა ზიზლით, შურით და  
ნაპერნელებს ჰყრიდა თვალებიდან. რამ-  
დენიმე ნამში ეს გამოხედვა შეეცვალა და  
სიპრალულის ემოცია დაუუფლა. ამან უფ-  
რო მეტად გამალიზიანა და ისეთი ისტო-  
რიები მოვყევი და მოვიგონე, რასაც რამ-  
დენი ხანიც უნდა ეცხოვრა, ვერასდროს  
მაღალებრივი და შეძლებდა. ხომ გითხარით,  
ყეყერი ვიყავი-მეტეი. თავი მოვაწონე და  
ვაჩვენე, რომ მასზე უკეთესი ცხოვრება მქ-  
ონდა. ახლა რომ დამინახოს, დაიმსახურა  
ასეთი ყოფა, იტყვის, გინებასაც მოაყო-  
ლებს და მართალიც იქნება.

გარშემო ყველას ვჩაგრავდი, საკუთარ  
ძალას ვიყენებდი და დროსაც ისე ვფლან-  
გავდი, თითქოს რეინგარნაციის მჯეროდა.  
კოჭლი კლასელი მყავდა; მის გარშემო, ყვ-  
ელა მშვიდად იქცეოდა, არც დარბოდნენ-  
და მით უმეტეს არც ხებზე დაძრებოდ-  
ნენ; მხოლოდ მე გავრბოდი მის დასანახ-  
ად; გავიქცეოდი, გავცდებოდი რამდენიმე  
მეტრს, უკან მოვიხედებოდი და მის სახეს  
ვაკირდებოდი. ტკივილი და იმედგაცრუე-  
ბა ერთად ჰქონდა აღბეჭდილი, მე კი ამის  
ცეკვა სიამოგწებას მანიფებდა და ვიცინო-  
დი. ხან ერთ ფეხზე დავდგებოდი, ხან —  
მეორეზე. მისკენ ხელს გავისურდი და მე-  
გონა, რომ ამ ქმედებით ჩემი ავტორიტეტი  
სხვის თვალში მაღლდებოდა და ფასი ედე-  
ბოდა.

მეცნიერება კლასში ქართულის მასწავლებელმა ილიას ლევესი წაგვიკითხა, ზუსტად აღარ მასხვევს. აი, ის, ძილის წინ რომ უნდა ჩამოთვალო, ვის რა არგებ; მე ჩემმებურად გადავთარგმნებ და ვიმასხოვრებდი, ვის რა ვავნე, შემდეგ მათი გამომეტყველება მასხს-ენდებოდა და გაფხორილი ხმამალლა ვხარხარებდი. ჩემი მოშეკითხავიც არავინ იყო. პაპა-ბებიას გვერდით ოთახში ეძინათ, მშობლები კი სამუდამო ძილს მისცემოდნენ. სხვათა შორის, დღეს ზუსტად 11 წელი გახდება, რაც აღარ არიან. მე კი ხუთ წელზე მეტია. დღის სინათლეს გისისებს მიღმა შეცყურებ და კიდევ ამაზე მეტი დამრჩა მოსახდელი. 19 წლიდან სამყაროს იმ პატარა ფანჯრიდან გავცეკერი, რომელიც საკანში დამხვდა და რაფის ფერიც კი არ ეცვლიას.

ვნანობ ფაქტს, რის გამოც აქ მოვხვდი? ვფიქრობ, რომ — არა. ვერ ჩამოყალიბდი. როცა მასხერნდება, სევდა არ მეუღლება, მაგრამ დანარჩენ ყველაფერზე ზუსტად გეტვით, რომ დანაშაულის შეგრძნება არ მიოვებს. არც ის ვიცი, ჰქოვნება როგორ

# თეა ირა

## ქადაგის აცუ დიალოგი

წინა კვირის აღსარება ჩავაპარე მამა  
გიორგის, იგივე ცუთხარი, რაც ახლა თქვე-  
ნი. გამკიცხა, არ გაქვს უფლება უფლის  
ნაცვლად აღასრულონ სამართლიანობათ.  
ჩემი ციხში მოხევდრაც ხომ სამართლიანი  
იყო; „გამოასალმე კაცი სიცოცხლეს და  
იმსახურება“ - მომაძახა მამუკას ცოლმა,  
მაგრამ ეს „დამსახურება“ მსაჯულმა აღა-  
სრულა. გამოდის, ღმერთის გარდა სხვა-  
საც აქვს უფლება, განიკითხოს, შეაფასოს  
და მიუსაჯოს. აյ იმიტომ ვარ, რომ არც  
ღმერთი ვარ და არც მოსამართლე; მოსა-  
მართლე რომ ვყოფილიყავი, ალბათ არ  
მოვკლავდი, მაგრამ არ გაუმართლა ბატონი  
მამუკას და უბრალო, ჩვეულებრივი, შურ-  
ისმამიებელი? კაცი აღმოგზნდი. გგონიათ,  
არ ვაღიარე? იურისტმა მითხვა, დუმილის  
უფლება გამოიყენეთ, მე კი ხმამაღლა ვსა-  
უბრობდი, რაც ჩავიდინე. დაცვაზე უარის  
ვთქვი, ისედაც ვიცოდი, რაც მელოდა, მა-  
გრამ სასამართლომ დამინიშნა სახაზინო  
ადვოკატი. განაჩენი რომ გამოაცხადეს,  
არ გამკვირვებია. ვინ იცის, ჩემს მშობლებს  
რამდენი დააკლო?! მეც ხომ დამაკლო?!  
გასვენების დღეს ყველა თავზე მისვამდა  
ხელს სიბრალულის გრძნობით და ობოლს  
მეძახდა. ვერც კი წარმოიდგენთ, ბავშვი-  
სთვის ეს ემოცია როგორი რთული ასატა-  
ნია.

უცნაური კიდევ რა იყო, იცით? 12 წლის  
ამდენივე ადამიანის სიტყვის გამო მომცესა  
შეიძლება არასწორად ვამპობ, მაგრამ იძ  
ხალხმა თქვა, რომ დამნაშავე ვიყავი და  
ციხეში ყოფნასაც ვიმსახურებდი. ნეტავე  
რომელიმე მათგანი, ჩემს ადგილზე რონ  
ყოფილიყო, რას მოიმოქმედებდა? არ მოკა-  
ლავდა? აპატიებდა, ყველა იმ წამს, როცა  
კუთხეში მჯდარი, ცხარე ცრემლებით მო-  
მტირალი ცამეტი წლის ბავშვი საკუთარ  
მშობლებს ელოდებოდა? დღემდე მასესოცე  
მინის ხმა, რომელიც კუბოს სახურავებს  
ეყრდნოდა. ეს რომ მოესმინათ ნაფიც მსა-  
ჯულებს, მაშინაც იტყოდნენ, რომ მკაც-

რისი მოლოდინი მაქვს? არაფრის. და-  
კარგული სული ვარ, რომელმაც არ იცის,  
რა გააკეთოს; ან რას უნდა ველოდებოდე  
ამ ოთხ კედელში, საიდანაც სინათლე იმ  
ერთი პატარა ფანჯრიდან შემოდის, რო-  
მელიც გისოსებითაა ამოლუქული?!  
გარეთ ვინ მელოდება? არავინ! ბიძაშ-

ვილი მყავდა, რომელმაც გამომიცხადა, რომ ჩემი არსებობის რცხვენოდა და საკუთარ მამასაც აუკრძალა ურთიერთობა. როგორ მითხვა? ჩემი მომავლისთვის საფრთხეს წარმოადგენ და ჩავთვალოთ, ერთმანეთს არ ვიცნობთო. არ შევწინააღმდეგებივარ, მისი ნებაა, მისი გადაწყვეტილებაა. ხეტავ, მაშინ არ შერცხვა, როცა მიუვალებულთა შესანირი გამოართვა პეპიაჩემს და უკან დაბრუნება არ უფიქრია? არც ის ეთაკილა, წერილი რომ გამომიგზავნა, ამ კაცმა შენს გაზრდას შეალია წლები და პაპაშენის დაკრძალვის თანხა გექნება მოსაცემი, როცა გამოხვალო? ხანდახან ისეთი ფაქტები მახსენდება, თავი ანგელოზი მგონა იმათობი შედარებით, ვინც გარეთაა და თავისუფლებით ტკბება. სხვა ადამინის აზრს არავინ სცემს პატივს, შეუძლიათ ამის გამო გალანძლონ, დაწყევლონ, მოკლან კიდევც. სხვის საქციელსაც მარტივად განიკითხავენ და გინების შემდეგ პირველასაც ინტერენ, ვითომდა, მათზე უკეთესი მორჩენულ არავინაა გარშემო და ეს აძლევთ უფლებას, წაიკითხონ მორალი ღმერთის სახელით.

დღეს აღმოვაჩინებ, რომ ადამიანები გარდა ემოციები და ხასიათიც დავკარგებ-ერთადექროთ, რაც დამრჩა, ბრაზია იმ და-ლუპული კაცის მიმართ, რომელსაც მე თა-ვად მოვუსწრავე სიცოცხლე. ნეტავ, რა-ტომ ვპრაზობ? რას შემიცვლის ეს გრძნო-ბა? ზუსტად ვიცი, რომ არაფერს, მაგრამ რამე ხომ მანც უნდა დავიტოვო? სიყვა-რულის გრძნობა მე აღარ მაქვს, აღარც იმ-ედი. სიხარულსაც ვეღარ განვიცდი, გაგე-ცინებათ და ვნებაც გამიქრა. შიშის მას მერე ვეღარ ვცნიობ, რაც გადატენვიტე, რომ ობ-ოლს ვერავინ დამჩაგრავდა და ამ არჩევა-ნის შემდეგ მე თავად ვიქეცი მჩაგვრელად. ამაზე გითხარით, რომ ვნანობ ხომ? მოვრ-ჩენილვარ ჩემს სათქმელს.

რჩევა? რა უფლება ძაქვს, ვიმსეს რაბე  
ვურჩიო? არც მორალს წავიკითხავ. მხოლ-  
ოდ ერთ რამეს ვიტყვი, სხვას არ დაუნგრი-  
ოთ ცხოვრება, რადგან ნანგრევებში მოყ-  
ოლილი სხეული სულსაც აზიანებს, ზუს-  
ტად ისე, როგორც მე დამაზიან.

წარსული კი უკან არ ბრუნდება და არც  
შეშის ნამსხვერევები მთელდება ისე, რომ  
ნაკვალევი არ დააჩნდეს. იარა მთელი ცხ-  
ოვრება მიგყვება იმ ლაქად, რომელთან  
ერთადაც მოგინევს ყოფნა. ყოველი დღე  
დაგანახებს მახინჯ სულოს და ნელ-ნელა

დამოგაცლის იმ ენერგიას, რომელიც სიცოცხლის გასაგრძელებლად გაჭირდება, ამ დროს ერთადერთი კითხვა გიჩნდება, გარეთ რომ გვაალ, ვინ იქნება ის, ვინც ჩემს დანაწევრებულ სულის ნაწილებს შეაგროვებს და თვალებში ნათელ სხივს გამოჩენს?

## ଭାରତୀୟ ପାଦିକାଳୀନ ଶାସନ ଓ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାଦିକାଳୀନ ଶାସନ

გაზით „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია  
აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში



კონფერტზე, ასევე ლექსებზე არ უხდა მიეთითოს ავტორის ვიზაობა).

დაწესებულია პრემიერი:

პირველი პრემია — 1500 ლარი —  
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან

მოწოდებულის — 1000 ლარი —  
კერძო პირ ელდარ ალიევისაგან.

მესამე პრემია — 600 ლარი —  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან


მეოთხე პრემია — 400 ლარი —  
თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისა.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექციები არა კომიტეტის მიერ მომზადებული ნიშანებით დამტკიცებული არ არის.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ პოეზიის სახალხო დღესასწაულზე — „შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი,  
დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა 3.  
ეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია  
საკონტაქტო ტელეფონი: 599979524.



## საადი შირაზელი

### გუსტავი და

**აქა იგავი სამართლიანი და მჩაგვრელი ძმებისა და  
გათი დასასრულისა**

სადღაც, მაშრიყის მიწა-წყალზე, გარდასულ უამით,  
ცხოვრობდა ორი უფლისწული, ძე ერთი მამის.

ორივ — სარდალი, ხოლო ტანით — სპილოს სადარი,  
კეთილადნაგი, განსწავლული და ქამანდარი.

მეფეს საშმად მოეჩვენა უფლისწულები,  
რადგან ბრძოლის ჟინს აპყოლოდნენ ძმები სრულებით.

რათა მათ შორის აღმოეჭხვრა ქიშპი და ცილი,  
გაპყო სამეფო, თავ-თავისი უქონა წილი.

ღმერთმა ნუ ქნასო, ატყდეს შეფოთი უმისამართო,  
ტახტის გულისთვის ქვეყნის ბედი ავად წარმართონ.

გამოხდა ხანი, მეფეს წყლულზე დაერთო წყლული,  
ბოლოს კი გამჩენს მორჩილებით შეკვედრა სული.

ოცნების ნართი დაურდევია სიკვდილმა მასაც  
და გარჯის ხელი ჩამოსხიპა მრავალთა მსგავსად.

სასახლეს ძმები დაეუფლნენ და მათვე ერგოთ  
სპა და ხაზინა, სასახლეთა ბანი და ერდო.

შემდეგ კი მიჰყვნენ ორივენი კარნახს გონების,  
საკუთარი გზა აირჩიეს დაუყოვნებლივ.

ერთმა — სიმართლის, რათა მწყებასად დაუდგეს ფარას,  
მეორემ — ჩაგვრის, რომ სიმდიდრეს იხვეჭდეს მარად.

ერთი — მოწყალე, მოსალბურ ხალხთა იარის,  
გახდა დერვიშთა ჭირ-გარამის თანაზიარი.

სარჩო არგუნა მოლაშქრებს, გასცა, განაგა,  
აღმართვინა ქარვასლა და სრა და ხანაგა.

ხაზინას აკლო, თუმცა ლაშქრის გული აღავსო,  
მისი ზნე-ჩევევა მეფეთათვის იყო სახამსო.

ხმა გაუვარდა, მისი ქვეყნის ყველა ალაგი  
ყვაოდა, როგორც აბუ-ბაქრის შირაზ-ქალაქი.

დიდო ხელმწიფევ, კურთხეულო რდით და ოდით,  
ისასამდეს ნაყოფს მარად შენი იმედის ტოტი.

ან კი, ჭაბუკო, კვლავ ისმინე ჩვენი იგავი:  
ის მეფე იყო სიკეთისგან გაურიყავი.

ქვეშევრდომთათვის მოსალბუნე-მომფონებელი,  
ცისკრის და მწუხრის უამს კი იყო უფლის მქებელი.

მის სამეფოში გაიღლიდა ყარუნი მშვიდად,  
სადაც დარიბიც ზარ-ზეიმის იალქებს შლიდა.

მან ხალხის გული მწუხარებით როდი გაცვითა,  
მის საუფლოში ვარდად იქცა ეკალ-ქაცვი და

სხვა მეფებმა ერთგულება ჰყიცეს და ჰყიცეს,  
ყყლზე შეიძეს მორჩილების საბელი მტკიცე.

მეორე ძმა კი მხოლოდ გვირგვინს ედგა დარაჯად,  
დეჟყანებს ბევრად გაუზარდა დალა-ხარაჯა.

სოვდაგრებს ხარბად გამოსტაცა სარჩო ხელიდან,  
უძლურებს რისხვა დაატეხა საშინელი და

რამის გაცემა ლარიბთათვის როდი ენგბა,  
უწყინ მისი ავეცობა გონიერებმა.

დიდი ქონება მოიხვეჭა, ხალხს ექცა ჭირად  
და სპა-ლაშქარი გაეცალა თანდათან ტირანს.

მისწვდა ვაჭართა ყურს ამბავი, რომ იმ მხარეში  
ძალმომრებობა და სიბილე ინყო თარეში.

მათაც შეწყვიტეს იქ ვაჭრობა, ქონების მართვა,  
თესვა შეწყდა და ხალხი დადგა შიმშილის ზღვართან.

რადგან იღბალმა მტარვალ მეფეს აქცია ზურგი,  
მტერმა მიზანში ამოილო ხალხისთვის ურგი.

ღვთიური რისხვა დუშმნის მნარე ისრად ეყარა,  
მტრის ცხენთა ფლოქებმა გადათელა მისი ქვეყანა.

ვისგან ეძება ერთგულება ბილნსა და მლალავს,  
გლეხი გაექცა, ვისთვის უნდა ეთხოვა დალა?!

არგის სმენოდა ქვეყანაზე მისი ქველობა,  
უფალს ვეღრებით  
ვინ შესთხოვდა მის დღეგრძელობას?!

დაემხო, ხმები მიინავლა მისი ებანის,  
კეთილმოსურნის არ ისმინა შეგონებანი.

იმ კეთილ ძმას კი ასე უთხრეს გონიერებმა:  
არა — მტარვალმა, შენ იმევე, ქვეყნის მშვენებავ!

ის მნარედ შეცდა, მისი ხედრი უნდა გვახსოვდეს,  
ხალხის მჩაგვრელი ვერ იხარებს ვეღარასოდეს.

\* \* \*

ნულარ შენატრი მეფის ტახტს და  
სულთნის ხატებას,  
მას ხომ ლარიბის მშვიდი ყოფა აღემატება.

იოლად ივლის, ვისაც მჩატე ჰყიდია ბარგი,  
ამას შეიგნებს განმჩხერებელი ავის და კარგის.

ხმიადს ესწრაფვის უპოვარის ფიქრთა დინება,  
მბრძანებელი კი სხვათა მიწებს ეპოტინება.

თუეკი ხემსი აქვს გლახაეკ, ურვა თავსაც ანებებს,  
ჩაეძინება ტკბილად, როგორც შამის მბრძანებელს.

წარმავალია რაგინდარა ლხენა და დარდი,  
ორვე მათგანს აფერმკრთალებს სიკვდილის ლანდი.

გაქრება ერთ დღეს დიადემით შუბლდადაფაფნული  
და მძიმე ხარკით გასაჭიროს ლამში ჩაფლულიც.

გაქრება მორქმით ზუალმდე ზეაზიდული  
და ბერე დილეგში მიგდებული ვილაც ბითური.  
როცა სიკვდილის დაატყდებათ ზაოქი და მეხი,  
არ განირჩევა ერთურთისგან მეფე და გლეხი.

\* \* \*

ქუჩაში გამვლელს, ვისაც ურვა სდევდა წინათაც,  
ძირს დაგდებულმა თავის ქალამ ასე მიმართა:

თავს ბაკმი მედგა, გულწარმტაცად ულერდა დაირა,  
თაჯი მეზურა, მორქვილი ათასნაირად.

მთელი ერაყი დავიპყარი მძლავრი მელავებით  
და ბრძოლის უინით ანთებული ომში ჩავები.

მსურდა ქერმანის დაპყრობა და შემომატება,  
თუმცა გამოსხივს ჩემი თავი უცებ მატლებმა.

გულისყურს ბამბა მოაშორე უდარდელობის  
და შესმინე გარდაცვლილთა რჩევა-მსჯელობის.

\* \* \*

კეთილისმქმნელი ავისევენ არ მიიდრიება,  
ავისმქმნელი კი არ ელოდოს მადლის მიგებას.

ყველა ბოროტი ავკაცობის მიდის გზა-შარით,  
თავს იკლავს, როგორც მორიელი მწველი შაშარით.

თუ მადლს არა სთეს, არავისთვის არაფერს ხარჯავს,  
ერთი ფასი აქვს მაშინ სიპ ქას და ძეირფას მარჯანს.

შევცდი, ქმიბილო, შემეშალა, რაცა ვთქვი წინათ:  
სასარგებლოა თითბერი და ქვაცა და რკინაც.

სჯობს სირცევილისგან სული გაძრეს მავანს ნელიად,  
თუკი ქვას ქვეყნად მასზე მეტი სარგებელი აქვს.

ამ ქვეყნად ყველა კაცი როდი სჯობია ნადირს,  
ყველა ავკაცს კი ცხოველი სჯობს ცხადია, ცხადი.

აღმატება ნადირს კაცი ჭიუატმყოფელი  
და არა თავად ნადირივით ხალხის მსპობელი.

ვისაც დრო გაცყავს ქვეყანაზე ძილით და ჭამით.  
როგორ გგონია, განა პირუტყვს სჯობია რამით?!

გზასამცდარ მხედარს  
(ამგვარი კი გახლავთ მრავალი)  
აჯობებს მგზავრი, სწორი გზით და ფეხით მავალი.

მადლის მარცვალი ვინც არ თესა, მე ასე მჯერა,  
თავისი გულის ნებისამებრ მოიმკის ვერას.

არსად მსმენია დუნიაზე (როდი მერევა)  
რომ ავის მთესველს მოეხვეჭოს ბედნიერება.

\* \* \*

ნეტარ არიან, ვანც სიყვარულს შეებნენ ურჩად,  
მათ იარები და მალამო ერთბამად უჩანთ.

მათ, ვით მათხოვრებს, ეჯავრებათ სამეფო თაჯი,  
და მსასოვარნი გულფზიზლობენ.

ნებითა და გარჯით.

ყოველნამიერ სევდის ნაფურს სვამენ ნელიად,  
თუნდაც ემნარით, სანუხარი არაფერია.

ავბედითობა ზარხოშია, — მარად უცვლელი,  
ეკალსაც იწვევეს, ვისაც ნებავს ვარდის ფურცელი.

სატრფოს სახელზე მირთმეული ალო მწარე  
გულში თაფლივით თავგრუდამხვევ სიამეს გარევს.

სატრფოსგან კიცხვას  
ენებით მთვრალი არაფრად აქნევს,  
მძიმე საპალნე შეებით მიაქვს

მზესაც ჯაბნიდა და არც პრანქვის იყო უცები, რომენის ლიბოსაც შეარყვედა წაკელუცებით.

ალაპს ებოძა სილამაზე სწორუპოვარი, ბრნყინავდა, როგორც მოკიაფე ჯავარ-გოვარი.

აშიკთა მზერა თან დასდევდა, როგორც ზმანება, სულს მესნირავდა ყველა მეტრფე დაუნანებლად.

ერთმა მიაპყრო მზერა მოსხივცისკარე სახეს, ის კი ალშოთდა და უბედურს შესძაბა მევახედ:

სანამ მიპირებ კვალში დგომას დაუფარავად, არ იცი, შენი კავანათის ჩიტი არა ვა!

თუ კიდევ მოგაკარ მოწანნალეს ჩემს ირგვლივ თვალი, ვითარცა დუშმანს, თავს წაგაცლი პირბასრი ხმალით.

ერთმა ურჩია: ან ჩაიშე გულისნალილი, ან სხვა მიზანი დაისახე, უფრო ადვილი.

ვერას გახდები და სიკერპე უარესს გიზამს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ტკბილი სული შესწირო მიზანს.

ტრობით შეპყრობილს როცა ესმა ეს საყვედური, ამოიგმინა გულდამწველად: ბედს არ ვემდური.

დაე, მიმსცერებლოს დაშნამ, როდი ვიდარდებ დიდად, დე, ჩემი მძორი უპატრონოდ დაეგდოს მინდვრად.

მტერი და მოძმე ასე იტყვის, გულგანალვლილი: დაეცა მინას, განგმირული მისი მახვილით.

სატრფოს კარებთან გათანგული დავრჩები მიწყივ, თუნდაც ამიკლო საყვედურით, კილვით და კიცხვით.

მე ყოველ დამით მისით ვიწვი, სატრფოს მსურველი, თუმცა, ვცოცხლდები განთიადზე მისი სურნელით.

დლეს თუნდაც მოვკვდე მის კერაზე ტანჯვა-წმებით, განკითხვის დლეს ხომ სატრფოს გვერდით დავევანები.

ომს ნუ გაურბი, ნუ დაიხშობ გულის გალიას, საადი — ტრფობით განგმირული, კვლავ ცოცხალია.

## აბდ ორ-რაპმან ჯამი

\* \* \*

განმშორდა გონი, გული, რწმენა, სული კი დარჩა, როგორც ყარიბი, რომლისთვისაც მეგზური არ ჩანს.

თუ ჭირის სუფრას გვიშლი, ბარემ ვნებაც გვაწვიე, აკი სულგრძელი სტუმრისათვის ყველაფერს ხარჯავს.

ლერმად ქცეული მიჯურები რარიგ ვენამეთ, მოგველერნამე წამისნამად, აჩქროლდეს მაჯა.

ვით ლერწმის კალამს, ნეტაც ორი ენა მქონდა, ამ ერთი ენით როგორ უნდა შეგუადრო აჯა.

ვით ნა რხეული, ცრემლს ვაჩქეფებ, გულდამსხვრეული, გულგამქისარი ეგ ისარი ძეგლშიგან მტანჯავს.

ჯამი, უმისოდ სამოთხეში რა დავრჩენია, მარტობაში ვერ დაგატკბობს წალკოტის ფარჩა.

## თარგმანი გილოზი ხულორდავა



გავრცელებულია აზრი, რომ ქველიერვიპტელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სიკედილის ფენობენს. სინამდვილეში კი, შეიძლება ითქვას, ისინი იმდენად აფასებდნენ სიცოცხლეს, რომ ფიქრობდნენ მისი სამუდამო გარდაქლების გზებზე.

ძველ ევვიპტეში სიკედილი, ტრადიციული გაებით, იყო არა სიცოცხლის დასასრული, არამედ სულის (კა-ს) მარადიული მოგზაურობის შემდეგ ეტაპზე გადასცლის საშუალება. ევვიპტელებს სიკედილის შემდგომი გზა დაბრულებით ასე წარმოედინათ: გარდაცვლილის სული გაიღიიდებდა საფლავში, ღმერთი ანუბისი ჭეშმარიტების დარბაზში მიაცილებდა, ხოლო ღმერთი მიაცილებდა, არსებობას გააგრძელებდა ღერძის მინდორში. იქ მას ექნებოდა ყველაფერი, რაც დაკარგა სიკედილის შედევგად — იცხოვებდა სამუდამო სამოთხეში მანამდე გარდაცვლილ ძვირფას ადამიანებთან და ღმერთებთან ერთად. თუმცა, ამისთვის დაკრძალვის რიტუალის ზედმინებით სიზუსტით შესრულება იყო აუცილებელი. სხეული უნდა შეენახათ, რათა სულისთვის საზრდო მიენოდებინა. საფლავს კი ისე ამზადებდნენ, რომ სხეულს სამოთხისკენ მიმავალი გზისთვის აუცილებელი საგზლის მიღება შეძლებოდა. გარდაცვლილი ადამიანის გვამს დააბალ ზამებდნენ და გადასვენებდნენ სამარხში. ამ ცერემონიაში პროფესიონალი მაღლოვიარე ქალებ მონაწილეობდნენ. მიჩნეოდა, რომ მკვდარსაც ესმოდა ვლოვა და სული ისარებდა, თუ გაიგვებდა, რომ მას მისტიკორდნენ და ენატრებოდნათ სააქამი.

მიცვალებულს აკლამაში რომ მთავავებდნენ და შესასვლელს დალუქავდნენ, სტუმრები ჰურობას ინკედნენ. სავარაუდო, ამ დროს მდეროდა პარტერიც. პარტერის სიმღერები იყო ტექსტები, რომლებსაც ევვიპტეში სწორედ დარდაცვლილის ცერემონიისა და საფლავის ქვედის წმინდნენ. ამ სიმღერების დასასელებება მოღის ნახატებითაც, რომლებიც ახლავს საფლავებზე, სამლოცველოს კედლებზე, სტელებსა და პაირუსებზე დანერილ ტექსტებს. ნახატებზე გამოსახულია ბრძა მომღერალი, პარტერი, რომელიც უმღერის გარდაცვლილს და ზოგჯერ მის იჯახს. ეს გამოსახულებები უკვე დედ სამეფოში ჩნდება. პარტერის სიმღერა იყო მოკლე მისალმება მიცვალებულისადმი, რომელიც ევვიპტელთა რწმენით, ინკედდა არსებობის ახალ ფაზას. ტექსტი განადიდებდა სიკვდილისმებგომ ცხოვერებას. პარტერის სიმღერებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა შუა სამუფოს დროს (ძვ. წ. ა. 1782 წელს). და მეტად განვითარდა.

გთავაზობთ სამ ყველაზე ცნობილ ჰარპის სიმღერას, რომელიც ჩემ მიერ ტექსტის ინგლისური ვერსიიდან არის თარგმნილი.

სამივე მათვანი საინტერესო მიმართებას გვიჩვენებს თანამედროვე სამყაროსთან და დღევანდელი ადამიანის ინტერესებთან.



## ჰარპის სიმღერები

ჰარპის პალატა  
მეფე ინტეფის საფლავიდან

იღბლიანი აღმოჩნდა ეს უფლისნული, ბედნიერი იყო მისი სიცოცხლის გზაც და დასასრულიც.

ერთი თაობა მიდის, მეორე ენაცვლება — ასე ხდება ოდითვან.

ლერთები, რომლებიც ჩემამდე არსებობდნენ, ახლა სამარხებში განისავენებენ.

ნეტარი დიდებულებიც სამარხებში არიან.

მაგრამ რაც შეეხება აკლდამების მშენებლებს,

მათი საფლავები აღარ არსებობს.

რა მოუვიდათ მათ?

მე მსმენია იმპოტებისა და

ჰარდედეფის შესახებ, ვის სიტყვებსაც ანდაზებივით იმეორებდნენ.

რა შეიძლება ითქვას მათ საფლავებზე?

მათი კედლები ნანგრევებად ქცეულა,

მათი საფლავები აღარ არსებობს,

თოთქოს არც არსებობს არასდროს არსებულა.

არც არავინ მოპრუნებულა იქიდნ უკან,

რომ გვიამბოს, რა მდგომარებაში არიან,

რომ მოგვითხროს ბევრი რამ მათ შესახებ

და ცოტა გული დაგვიმშვიდოს,

სანამ თავად არ ვიმოგზაურებთ

იქ, სადაც ისინი წავიდნენ.

ასე რომ, გაიხარე გული,

შეხივის უმჯობესია უზრუნველი ყოფა,

სანამ ცოცხლობ, მიჰყევი გულისთქმას,

თავი მირთ შეიმკე,

შეიმოს შევენიერი სამოსით,

ტანი საუკეთესო ზეთით დაიზილე,

მხოლოდ ღმერთებისთვის რომ არის

განკუთვნილი.

დაე, იმატოს შენმა ბედნიერებად

და გული არ მიეცეს უიმედობას.

მიჰყევი შენს გულს და ბედნიერებას,

ნარმართე შენი საქმეები დედამინაზე ისე,

როგორც გული გკარნახობს,

რადგან გლოვის დღე

აუცილებლად დადგება შენთვის.

დალლილი გული არ ისტენს გოდებას

და ქვითითი ვერ იხსნის

ადამიანის გულს საფლავიდან.

